ვამტკიცებ
სსიპ ტექნიკური და სამშენებლო
ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი
_____ გ. კაკაურიძე
2.10.2017

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ბაზარზე ზედამხედველობის 2017 წლის IVკვარტლის სამოქმედო გეგმა

წინამდებარე დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2016 წლის 30 დეკემბრის N641 დადგენილებით დამტკიცებული სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების ბაზარზე ზედამხედველობის მრავალწლიანი სამოქმედო გეგმის, სააგენტოს უფროსის მიერ 2017 წლის 4 იანვარს დამტკიცებული სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის სამოქმედო გეგმისა და სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს 2017 წლის ბაზარზე ზედამხედველობის სამოქმედო გეგმის შესაბამისად.

სააგენტოს მიერ 2017 წლის I, II და III კვარტალში განხორციელებული ბაზარზე ზედამხედველობის შედეგების გათვალისწინებით, იდენტიფიცირებულ იქნა ეკონომიკური ოპერატორები და მათ მიერ ბაზარზე განთავსებული სამომხმარებლო პროდუქტები, რომლებზეც ვრცელდება ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტები, შესაბამისად, წინამდებარე გეგმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად, სააგენტოს უფროსის ბრძანების საფუძველზე, სააგენტოს შესაბამისი სამმართველოს თანამშრომლები მივლინებულ იქნებიან ცხრილში მითითებულ ობიექტებზე ბაზარზე ზედამხედველობის განსახორციელებლად. გარდა ამისა, IV კვარტლის გეგმა ასევე მოიცავს მიმდინარე კვარტალში ბაზარზე განთავსებული (ახალდამონტაჟებული) ლიფტების ბაზარზე ზედამხედველობას, დოკუმენტაციის ანალიზის გზით და შემდგომი რეაგირების მიზნით კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში.

ზედამხედველობის ფარგლებში მოხდება:

1. 2017 წლის IV კვარტალში ბაზარზე განთავსებული საქვაბე დანადგარის შემოწმება და შესაბამისი კითხვარის გამოყენებით საქართველოს მთავრობის 2013 წლის 17 ივნისის N 149 დადგენილებით დამტკიცებული ,,თხევად ან

აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლების (საქვაბე დანადგარი) ეფექტურობის მოთხოვნების ტექნიკური რეგლამენტი"_ის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

2. 2017 წლის IV კვარტალში ბაზარზე განთავსებული წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლის შემოწმება და შესაბამისი კითხვარის გამოყენებით, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 19 ივნისის N150 დადგენილებით დამტკიცებული ,,წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლის ტექნიკური რეგლამენტი"_ს მოთხვონებთან შესაბამისობის დადგენა.
3. 2017 წლის IV კვარტალში ბაზარზე განთავსებული ლიფტების ბაზარზე ზედამხედველობა და მათი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 26 ივლისის N289 დადგენილებით დამტკიცებული ,,ლიფტის უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის" მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.
4. 2017 წლის IV კვარტალში ბაზარზე განთავსებული საბაგირო გზების ბაზარზე ზედამხედველობა და მათი საქართველოს მთავრობის 2011 წლის 15 აგვისტოს N 320 დადგენილებით დამტკიცებული ,,ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილი საბაგირო მოწყობილობების შესახებ ტექნიკური რეგლამენტი"-ს მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

ა/წლის ნოემბრის თვეში სააგენტოში იგეგმება შეხვედრა მეწარმე სუბიექტებთან, სადაც მათთვის მოხდება შემდეგი საკითხების გაცნობა და აქტუალიზაცია:

- ✓ იმ სავაჭრო ობიექტების წარმომადგენლებს, რომელთა მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დამატებით ეცნობოთ წინა ვალდებულებების შესრულების აუცილებლობის შესახებ.
- ✓ უწყებრივ რეესტრში რეგისტრაციაში გატარების ვალდებულება მათ მიერ ბაზარზე განთავსებული იმ პროდუქტებისა (საქვაბე დანადგარი და წნევის ქვეს მომუშავე ჭურჭლები), რომელთა ზღვრული ტექნიკური პარამეტრები აკამყოფილებს 2012 წლის 28 დეკემბრის N488 საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ,,მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ზღვრული ტექნიკური პარამეტრების დადგენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი"-ს მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.
- ✓ ,,კოდექსში" შეტანილი ცვლილებების ამოქმედება, რაც ითვალისწინებს ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით გამოვლენილ დარღვევებზე სანქციების დაკისრებას.

ახლად გამოვლენილი სავაჭრო ობიექტები

ობიექტი	მიახლოებითი რაოდენობა	ობიექტის მფლობელი	ობიექტის ადგილმდებარეობა	შემოწმების თარიღი
წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭელი	8	შპს,, ჯორჰია კომპანი - ენჰელის წარმომადგენლობა საქართველოში „	თბილისი აგლაძის ქ.7	2017წლის IV კვარტალი
წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭელი	10	შპს,,ეფგ ჯორჯია“	თბილისი შეშელიძის ქ. 1ა	2017წლის IV კვარტალი
წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭელი	10	შპს,,ენერგო ჯორჯია“	თბილისი. ბახტრიონ ის ქ. 1	2017წლის IV კვარტალი
წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭელი	15	შპს ,,თეგეტა მოტორსი“	ქ.თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12კმ, N5	2017წლის IVკვარტალი
წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭელი	5	შპს,,დევალტი სტენლი“	თბილისი. ქსნის ქ. 36	2017წლის IV კვარტალი
საქვაბე დანადგარი	15	შპს ,,ელ სერვისი“	თბილისი. წინამძღვ რიშვილის ქ. 121	2017წლის IV კვარტალი
საქვაბე დანადგარი	10	შპს ,,თერმა“	თბილისი. ბელიაშვი ლის ქ. 35	2017წლის IV კვარტალი
საქვაბე დანადგარი	15	შპს,,კუბიკი“	თბილისი , ქეტევან წამებულის გამზ.	2017წლის IVკვარტალი
წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობა	10	შპს,,ლოვატო ჯორჯია“	თბილისი. ჯორჯ ბალანჩინის ქ.	2017წლის IVკვარტალი
წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობა	15	შპს ,,ეკო მობილ ჯორჯია“	თბილისი. ბეჟანიშვი ლის ქ. 8ა	2017წლის IVკვარტალი
წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობა	10	შპს,,ავტოგაზ კავკაზი“	თბილისი. ჯავახეთი ს ქ. 64	2017წლის IVკვარტალი
წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობა	5	შპს,,ნიუ ენერჯი ინვესთ“	თბილისი. კერესელ იძის ქ. 5	2017წლის IVკვარტალი
წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობა	5	შპს,,გრინ ფაუერი“	თბილისი. მუხიანი, IV მ/რ,	2017წლის IVკვარტალი
წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობა	10	შპს ,,გას ჯორჯია“	თბილისი. წულუკიძ ის ქ. 7	2017წლის IVკვარტალი
წნევის ქვეშ მომუშავე	5	შპს,,ავტო გაზ კავკასია“	თბილისი. მ. "სარაჯიშვილის"	2017წლის IVკვარტალი

მოწყობილობა			მიმდ. ტერიტ	

მეწარმე სუბიექტების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით განსაზღვრულია ,,საქვაბე დანადგარის" და ,,წნევის ქვეშ მომუშავე მარტივი ჭურჭლები"-ს რაოდენობა.

2017 წლის IV კვარტალში ასევე მოხდება იმ სავაჭრო ობიექტების გადამოწმება, რომლებმაც ვერ უზრუნველყვეს 2017 წლის I, II და III კვარტალში შემოწმებისას გამოვლენილი შეუსაბამობების აღმოფხვრა.

გადასამოწმებელი ობიექტები

ობიექტი	მიახლოებითი რაოდენობა	ობიექტის მფლობელი	ობიექტის ადგილმდებარეობა	შემოწმების თარიღი
საქვაბე დანადგარი	10	შპს ,, საგა იმპექსი"		2017წლის IV კვარტალი
საქვაბე დანადგარი	5	შპს ,,ლიდერ სისტემ"		2017წლის IV კვარტალი
საქვაბე დანადგარი	10	შპს ,,თერმა იმპორტი"		2017წლის IV კვარტალი
საქვაბე დანადგარი	8	შპს ,,უნივერსალი"		2017წლის IV კვარტალი

დოკუმენტურ შემოწმებას დაქვემდებარებული ლიფტების და საბგირო გზების რაოდენობა წინასწარ უცნობია და დამოკიდებულია საბაზრო სუბიექტებს შორის გაფორმებული კონტრაქტების რაოდენობაზე, ისევე როგორც რისკის ანალიზის საფუძველზე განსახორციელებელი ტექნიკური შემოწმებების რაოდენობა.

სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს მიერ ჩატარებული ბაზრის კვლევა და 2017 წლის I, II, და III კვარტლის შედეგები და ანალიზი ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით

ბაზრის კვლევის მიზანია 2017 წლის 3 კვარტლის განმავლობაში სააგენტოს მიერ განხორციელებული სამრეწველო და სამომხმარებლო პროდუქტების, *კონკრეტულად:* **საქვაბე დანადგარების, წნევის მარტივი ჭურჭლების, წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობების, ლიფტების და საბაგირო მოწყობილობების** (შემდგომში პროდუქტები) ბაზარზე ზედამხედველობის მიზნით მოძიება, იდენტიფიცირება, ასევე ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და სახელმწიფო ზედამხედველობა მათი ბაზარზე განთავსების პროცესში.

2017 წლის დასაწყისიდან სააგენტო პერმანენტულად ახდენს საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზე ქართველი თუ უცხოელი დისტრიბუტორების/რეალიზატორების მიერ განთავსებული იმ პროდუქტების იდენტიფიცირებას რომლებზეც ვრცელდება ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტები და მათზე ზედამხედველობას ახორციელებს სააგენტო.

საქართველოში ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით განხორციელებული ცვლილებებისა და ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების (**„თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლების (საქვაბე დანადგარი) ეფექტურობის მოთხოვნების ტექნიკური რეგლამენტი“ ; „ წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლის ტექნიკური რეგლამენტი“; და „წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობების ტექნიკური რეგლამენტი“**) ამოქმედებასთან დაკავშირებით ა/წ 22 თებერვალს სააგენტოში გაიმართა შეხვედრა ზემოაღნიშნული პროდუქტების დისტრიბუტორ/რეალიზატორ მეწარმე სუბიექტებთან, სადაც პრეზენტაციის სახით, სააგენტოს სპეციალისტების მიერ მოხდა ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტებისა და მათ (მეწარმე სუბიექტების) მიერ პროდუქტის ბაზარზე განთავსების პროცესში საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანისათვის სავალდებულო მოთხოვნების გაცნობა. მეწარმეების მხრიდან სააგენტოს მიეწოდა ინფორმაცია აღნიშნულ პროდუქტებთან დაკავშირებით სამომხმარებლო ბაზარზე არსებული ვითარების შესახებ. სააგენტოს სპეციალისტების მიერ გაიცა მითითებები, რომელიც ეხებოდა აღნიშნული პროდუქტების ბაზარზე განთავსებისას ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას.

ბაზარზე ზედამხედველობის ფარგლებში, სააგენტოს მიერ, 2017 წლის I, II, და III კვარტალში 14 სხვადასხვა სავაჭრო ობიექტში განხორციელდა ბაზარზე განთავსებული 55 ერთეული საქვაბე დანადგარის და 15 ერთეული მარტივი წნევის ჭურჭლის ზედამხედველობა:

ორგანიზაციის დასახელება	პროდუქტის დასახელება	რაოდენობა

შპს ,,ბი ემ სი გორგია“	საქვაბე დანადგარი	8
შპს ,, საგა იმპექსი“	საქვაბე დანადგარი	10
შპს ,,თერმორუმი“	საქვაბე დანადგარი	7
შპს ,, დამსანი“	წნევის მარტივი ჭურჭელი	5
შპს ,, იგლ ფოვერ თულსი“	წნევის მარტივი ჭურჭელი	5
შპს ,,აიესკო“	წნევის მარტივი ჭურჭელი	5
შპს ,, ქებული კლიმატი“	საქვაბე დანადგარი	5
შპს ,,თერმოსთრიმი“	საქვაბე დანადგარი	3
შპს ,,ლიდერ სისტემ“	საქვაბე დანადგარი	3
შპს ,,ევროკლიმატი“	საქვაბე დანადგარი	3
შპს ,,ჰიდროთერმი“	საქვაბე დანადგარი	4
შპს ,, უნივერსალი“	საქვაბე დანადგარი	3
შპს ,,მაქსთერმი“	საქვაბე დანადგარი	5
შპს ,,თერმა იმპორტი“	საქვაბე დანადგარი	4

სააგენტოს სპეციელისტების მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტების შემოწმება განხორციელდა ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების მიხედვით წინასწარ შედგენილი კითხვარების გამოყენებით[1], როგორც პროდუქტების ტექნიკური შემოწმების თვალსაზრისით (მათ შორის: დამცავი და მზომი ხელსაწყოები, კოროზიისგან დაცვა, ლითონის მექანიკური დაზიანება), ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაციის ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მხრივ (დოკუმენტური კონტროლი).

მიმდინარე წლის განმავლობაში, სპეციალისტების მიერ ბაზარზე განთავსებულ პროდუქტებზე დოკუმენტური კონტროლის განხორციელების პროცესში, გამოიკვეთა რამდენიმე სახის ძირითადი შეუსაბამობები:

- *ვერცერთი* მეწარმე სუბიექტის მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ტექნიკური რეგლამენტებით გათვალისწინებული, მწარმოებლის მიერ გაცემული ტიპთან შესაბამისობის დეკლარაცია.

  შეუსაბამობა: **,,თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლების (საქვაბე დანადგარი) ეფექტურობის მოთხოვნების ტექნიკური რეგლამენტი“-ს მე- 5 მუხლის მე-4 პუნქტი.**

- თითოეულ პროდუქტზე, სახელმწიფო ენაზე არ იყო წარმოდგენილი გამოყენების ინსტრუქციები.

  შეუსაბამობა: პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი-ს შემდგომში (კოდექსი) მუხლი 12-ის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილი

- მეწარმე სუბიექტების მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი ნოტიფიცირებული ორგანოს მიერ პროდუქტზე გაცემული ტიპის გამოცდის სერთიფიკატები.

  შეუსაბამობა:,,თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი **გამაცხელებლების (საქვაბე დანადგარი) ეფექტურობის მოთხოვნების**

[1] მოცემულია სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს ბაზარზე ზედამხედველობის 2017 წლის IVკვარტლის სამოქმედო გეგმის II და III დანართების სახით

ტექნიკური რეგლამენტი“-ს მე_3 მუხლის ,,ა“ქვეპუნქტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით, სააგენტოს სპეციალისტების მიერ გაცემული იქნა მითითებები და მეწარმე სუბიექტებს განესაზღვრათ გონივრული ვადა, რათა აღმოფხვრილიყო ზემოაღნიშნული შეუსაბამობები და მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქცია შესაბამისობაში მოეყვანათ ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნებთან.

სააგენტოს სპეციალისტების მიერ, ბაზარზე განთავსებულ პროდუქტებზე არსებული შეუსაბამობებისათვის გაცემული მითითებების შესრულების მიზნით, მეწარმე-სუბიექტების მიერ მოხდა დაკავშირება მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტების მწარმოებლებთან, რომლის შედეგადაც სააგენტოში წარმოდგენილ იქნა სააგენტოს მიერ დაფიქსირებული შეუსაბამობების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია; შპს ,,ქებული კლიმატი“-ს; შპს ,,ბი ემ სი გორგია“-ს; შპს ,,მაქსთერმი“-ს; შპს ,,თერმორუმი“-ს და შპს ,,თერმოსთრიმი“-ს მხრიდან.

- მწარმოებლის მიერ გაცემული ტიპთან შესაბამისობის დეკლარაციები.
- ნოტიფიცირებული ორგანოს მიერ პროდუქტზე გაცემული ტიპის გამოცდის სერთიფიკატები.

ვინაიდან, შპს ,, საგა იმპექსი“-ს შპს ,,ლიდერ სისტემ“-ის შპს ,,თერმა იმპორტი“-ს შპს ,,იგლ ფოვერ თულსი“-ს შპს ,,უნივერსალი“-ს და შპს ,, დამსანი“-ს პროდუქციაზე ვერ იქნა წარმოდგენილი სააგენტოს მიერ დაფიქსირებული შეუსაბამობების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, სავაჭრო ობიექტები დამატებით გადამოწმების მიზნით შეტანილ იქნა 2017 წლის IV კვარტლის სამოქმედო გეგმაში.

სააგენტოს სპეციალისტების მიერ 2017 წლის I, II და III კვარტალში განხორციელებული ბაზარზე ზედამხედველობის შედეგების გათვალისწინებით შედგენილ იქნა 2017 წლის IV კვარტლის სამოქმედო გეგმა, რომლის საფუძველზეც სააგენტოს შესაბამისი სამმართველოს თანამშრომლების მიერ ხორციელდება საქართველოში დისტრიბუტორების/რეალიზატორების მიერ ბაზარზე განთავსებული სამომხმარებლო პროდუქტების დამატებით მოძიება, იდენტიფიცირება და სახელმწიფო კონტროლი, რათა მეწარმეთა მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქცია შესაბამისობაში იქნას მოყვანილი ახალი მიდგომის ტექნიკურ რეგლამენტებთან და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

სააგენტო ახორციელებს აგრეთვე ზედამხედველობას ბაზარზე განთავსებულ ლიფტებზე და საბაგირო გზებზე დოკუმენტური კონტროლის გზით, ვინაიდან აკრედიტირებულ ინსპექტირების ორგანოებს ზემოაღნიშნულ სფეროებში გააჩნიათ აკრედიტაცია.

2017 წლის I, II და III კვარტალში ინსპექტირების ორგანოების მიერ გაცემული იქნა ინსპექტირები სერთიფიკატები შემდეგ ობიექტებზე:

ლიფტები-821;

საბაგირო გზა- ინპექტირების ორგანოს მიერ(შპს,,ტექინსპექტგარანტი“) შემოწმებული იქნა 11 ერთეული საბაგირო გზა. გამოვლენილი არსებითი და კრიტიკული შეუსაბამობების გამო ინსპექტირების სერთიფიკატი არ იქნა გაცემული,

რის შემდეგაც სააგენტომ მიიღო დადგენილება მფლობელი ორგანიზაციის(,,ჭიათურ მანგანეზის") დაჯარიმების შესახებ(ჯარიმის ოდენობა 3600 ლარი).

შემოსული შეტყობინების საფუძველზე სააგენტოს თანამშრომლების მიერ ტექნიკური ინსპექტირება ჩაუტარდა შპს ,,ვერტიკალი 777"-ს მფლობელობაში მყოფ 2 ერთეულ ლიფტს და შპს,,ელიტლიფტი"-ს მფლობელობაში მყოფ 2 ერთეული ლიფტი.

გამოვლენილი არსებითი შეუსაბამობების გამო შპს,,ვერტიკალი"დაჯარიმდა 1200ლარით, ხოლო შპს ,,ელიტლიფტი" 600 ლარით.

დასკვნა

2017 წლის დასაწყისიდან სსიპ-ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს სპეციალიტების მიერ მოძიებულ და იდენტიფიცირებულ იქნა ქ. თბილისის მაშტაბით დისტრიბუტორების/რეალიზატორების მიერ ბაზარზე განთავსებული სამომხმარებლო პროდუქტი **(საქვაბე დანადგარები, წნევის მარტივი ჭურჭლები და წნევის ქვეშ მომუშავე მოწყობილობები)**, რომელთა შემოწმება განხორციელდა 2017 წლის I, II, და III კვარტალში.

ა/წ 22 თებერვალს სააგენტოში გამართული შეხვედრისას მეწარმე-სუბიექტებს ეცნობათ ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების ამოქმედების შესახებ და მიეცათ შესაბამისი მითითებები, მიუხედავად ამისა სააგენტოს სპეციალისტების მიერ ჩატარებული ბაზარზე ზედამხედველობისას გამოიკვეთა შემდეგი სახის დარღვევები: მწარმოებლის მიერ გაცემული ტიპთან შესაბამისობის დეკლარაცია, გამოყენების ინსტრუქციები სახელმწიფო ენაზე და ნოტიფიცირებული ორგანოს მიერ პროდუქტზე გაცემული ტიპის გამოცდის სერთიფიკატები.

რაც ცხადყოფს, რომ მეწარმე-სუბიექტები არ არიან მზად სრულყოფილად შეასრულონ ახალი მიდგომის ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები. აღნიშნულიდან გამომდინარე ა/წლის ნოემბრის თვეში სააგენტოში იგეგმება შეხვედრა მეწარმე სუბიექტებთან, სადაც მათთვის მოხდება შემდეგი საკითხების გაცნობა და აქტუალიზაცია:

- ✓ იმ სავაჭრო ობიექტების წარმომადგენლებს, რომელთა მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი შეუსაბამობების აღმოფხვრის დამადასტურებელი დოკუმენტაცია დამატებით ეცნობოთ წინა ვალდებულებების შესრულების აუცილებლობის შესახებ.
- ✓ უწყებრივ რეესტრში რეგისტრაციაში გატარების ვალდებულება მათ მიერ ბაზარზე განთავსებული იმ პროდუქტებისა (საქვაბე დანადგარი და წნევის ქვეს მომუშავე ჭურჭლები), რომელთა ზღვრული ტექნიკური პარამეტრები აკამყოფილებს 2012 წლის 28 დეკემბრის N488 საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ,,მომეტებული ტექნიკური საფრთხის შემცველი ობიექტების ზღვრული ტექნიკური პარამეტრების დადგენის შესახებ ტექნიკური რეგლამენტი"-ს მე-6 მუხლის პირველი პუნქტისა და მე-7 მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნებს.
- ✓ ,,კოდექსში" შეტანილი ცვლილებების ამოქმედება, რაც ითვალისწინებს ბაზარზე ზედამხედველობის კუთხით გამოვლენილ დარღვევებზე სანქციების დაკისრებას.

დანართი №2

საქართველოს მთავრობის
დადგენილება № 149
2013 წლის 17 ივნისი ქ. თბილისი

თხევად ან აირად საწვავზე მომუშავე წყლის ახალი გამაცხელებლების (საქვაბე დანადგარი) ეფექტურობის მოთხოვნების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ

კითხვარი

№	რეგლამენტის მოთხოვნა	დიახ/არა	შენიშვნა
1	საცხოვრებელ ფართში დასამონტაჟებელი საქვაბე დანადგარი - 37 კვტ-ზე ნაკლები ეფექტური ასეთი საქვაბე დანადგარის კორპუსზე გარკვევით უნდა იყოს მინიშნება, რომ იგი საცხოვრებელი ფართისთვის არის განკუთვნილი. **მუხლი 2, პ. ლ)**		
2	აკმაყოფილებს თუ არა საქვაბე დანადგარი ეფექტურობის მოთხოვნებს. **მუხლი 5 პ. 1** ეფექტური სიმძლავრის მოთხოვნები წარმოდგენილია ცხრილში:		

საქვაბე დანადგარების ტიპები	ნომინალური სიმძლავრის ზღვრები	ეფექტურობა ნომინალურ სიმძლავრეზე		ეფექტურობა ნაწილობრივ დატვირთვაზე	
	კვტ	წყლის საშუალო ტემპერატურა (^0C)	ეფექტურობის მოთხოვნები (%-ში)	წყლის საშუალო ტემპერატურა (^0C)	ეფექტურობის მოთხოვნები (%-ში)
სტანდარტული საქვაბე დანადგარები	4-400	70	≥ 84+2 logPn	> 50	≥80+3 logPn
დაბალ ტემპერატურული საქვაბე დანადგარები (*)	4-400	70	≥87.5+1.5 logPn	40	≥87.5+1.5 logPn
აირის კონდენსატორული საქვაბე დანადგარები	4-400	70	≥ 91+1 logPn	30 (**)	≥97+1 logPn

(*) თხევად საწვავზე მომუშავე კონდენსატორული საქვაბე დანადგარების ჩათვლით
(**) საქვაბე დანადგარის წყლის ტემპერატურა.

3	მოწყობილობას ბაზარზე განთავსებისას უნდა გააჩნდეს შესაბამისობის ნიშანდება და შესაბამისობის დეკლარაცია. **მუხლი 5, პ. 4**		
4	- არის თუ არა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისობის ნიშანდება საქვაბე დანადგარებზე გაკეთებული თვალსაჩინო ადგილას, გარკვევით და ისე, რომ არ წაიშალოს. - აკრძალულია ამ პროდუქტებზე შეცდომაში შემყვანი ნებისმიერი სხვა მარკის, ნიშნის ან აღნიშვნის გაკეთება, რომლებიც შესაბამის ნიშანდებაში არევას გამოიწვევს როგორც მნიშვნელობით, ასევე გარეგნულად. **მუხლი 5, პ. 5**		

5	აქვს თუ არა საქვაბე დანადგარს გამოყენების ინსტრუქცია სახელმწიფო ენაზე. ,,კოდექსი''-ს მუხლი 12-ის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილი		

დანართი №3

წნევის ქვეშ მყოფი მარტივი ჭურჭლის

კითხვარი

№	მოთხოვნის შინაარსი	დიახ	არა	შენიშვნა
1	შესაბამისობის დეკლარაცია. **მუხლი 8, პუნქტი 2**			
2	შესაბამისობის მარკირება. **მუხლი 4, პუნქტი პირველი**			
3	შესაბამისობის ნიშანი: თვალსაჩინოდ, გარკვევით და წაუშლადი მეთოდით. **მუხლი 13, პუნქტი პირველი**			
4	ისეთი ნიშანდება, რომლსაც შეცდომაში შეყავს. დაინტერესებული მხარე. **მუხლი 13, პუნქტი 2**			
5	მინიმალური სამუშაო ტემპერატურული რეჟიმი Tmin; **დანართი I პუნქტი 2**			
6	მაქსიმალური სამუშაო ტემპერატურული რეჟიმი Tmax; **დანართი I პუნქტი 2**			
7	მაქსიმალური სამუშაო წნევა PS. **დანართი I პუნქტი 2**			
6	სრული დაცლისა და აირის გამომშვები საშუალებები. **დანართი I პუნქტი 2**			
7	კოროზიისაგან დაცვა. **დანართი I პუნქტი 2**			
8	დატანილი შესაბამისობის ნიშანი საქართველოს მთავრობის N50 დადგენილებით.			
9	ინსტრუქცია ქართულ ენაზე: **,,რეგლამენტი''- ს დანართი II-ის პუნქტი 2**			
	ა)ამ დანართის პირველ პუნქტში მოცემულ დეტალებს, ჭურჭლის სერიული საიდენტიფიკაციო ნომრის გარდა;			
	ბ) ჭურჭლის გამოყენებას დანიშნულებისამებრ;			
	გ)ჭურჭლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მისი შენახვისა და დამონტაჟების აუცილებელ მოთხოვნებს.			
10	ეტიკეტი და მოიცავს თუ არა შემდეგი სახის ინფორმაციას: **,,რეგლამენტი''- ს დანართი II-ის პუნქტი 1.2**			
	ა) მაქსიმალურ სამუშაო წნევას PS (მაჩვენებელი წნევის ერთეულბარ-ში);			
	ბ) მაქსიმალურ სამუშაო ტემპერატურას T_{max} (გრადუს ცელსიუსზე);			
	გ) მინიმალურ სამუშაო ტემპერატურას T_{min} (გრადუს ცელსიუსზე);			
	დ) ჭურჭლის ტევადობა/მოცულობა V (L-ში);			
	ე) მწარმოებლის დასახელება ან სასაქონლო ნიშანი;			
	ვ) ჭურჭლის სახეობა და სერიული ან პარტიის საიდენტიფიკაციო ნომერი;			

	ზ)იმ წლის ბოლო ორი ციფრი, როდესაც ჭურჭელზე დატანილ იქნა შესაბამისობის ნიშანი.			
11	თავისუფალი ადგილი ეტიკეტზე საჭიროებისამებრ სხვა სახის ინფორმაციის დატანისათვის. „რეგლამენტი"- ს დანართი II-ის პუნქტი 1.2			